

გრიგოლ ნოსელის თხზულება ეფთვიმე ათონელის თარგმანში

(წმინდა გრიგოლ ნოსელი, „ქალწულებისათვის და საღმრთოასა მოქალაქობისა“. პროტოპრესვიტერ გიორგი ზვიადაძის გამოცემა, „შერიდანი“, თბილისი 2011)

ელგუჯა ხინთიბიძე

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი; ჟურნალ „ქართველოლოგის“ რედაქტორი



რეზიუმე: 2011 წელს პროტოპრესვიტერ გიორგი ზვიადაძის მიერ გამოიცა წმინდა გრიგოლ ნოსელის ასკეტიკური ტრაქტატი „ქალწულებისათვის და საღმრთოასა მოქალაქობისა“. გამოცემა შესრულებულია თანამედროვე ფილოლოგიური მეცნიერების უახლესი ნორმების შესაბამისად. მკვლევარ-გამომცემლის მიერ გამოვლენილია ქართველი

მთარგმნელის წმ. ეფთვიმე მთაწმინდელის მთარგმნელობითი მეთოდის თავისებურებების უაღრესად მნიშვნელოვანი დეტალები.

საკვანძო სიტყვები: გრიგოლ ნოსელი, ეფთვიმე მთაწმინდელი, „ქალწულებისათვის და საღმრთოასა მოქალაქობისა“

დიდი კაპადოკიელი წმინდა მამა გრიგოლ ნოსელი, საღვთო ფილოსოფიის და ქრისტიანული მისტიკის უდიდესი მომღვაწი, მის უფროს ძმასთან ბასილი დიდთან და უფროს მეგობართან გრიგოლ ღვთისმეტყველთან ერთად წმინდა ეკლესიის უდიდესი ავტორიტეტია და ძველ საქართველოში ძალზე პოპულარული ღვთისმეტყველი. ნისის ეპისკოპოსი წმინდა გრიგოლი თავის ნაშრომში „ქალწულებისათვის და საღმრთოასა მოქალაქობისა“ ქალწულებას წარმოაჩენს როგორც კიბეს, რომელიც ასკეტური ცხოვრების საფუძვრებით ამალლებს მორწმუნეს საუკუნო ნეტარებისკენ. ამ მისტიკური ამალლების გზის ინტერპრეტირებაა წმინდა გრიგოლ

ნოსელის ეს უკვდავი თხზულება, რომლის ქართული რედაქციის მაღალი მეცნიერული აკრიბიით გამოცემას წარმოადგენს ეს წიგნი.

განსაკუთრებით მინდა მივაქციო ყურადღება ამ ნაშრომის რამდენიმე მხარეს:

1. მეცნიერი გამოცემელი წმინდა გრიგოლ ნოსელის თხზულების ქართული თარგმანის ორიგინალთან შედარებისას იყენებს ბერძნული ტექსტის კრიტიკულ გამოცემას. რომელიც ემყარება ყველა ბერძნული ხელნაწერის და წინარე გამოცემების შესწავლას და შესრულებულია ამ ხელნაწერების ვარიანტებით. ესაა სწორი მეთოდოლოგიური პოზიცია ბიზანტიურ-ქართული კვლევა-ძიებების წარმოებისას, რაც ჩვენს ფილოლოგიურ მეცნიერებაში უკანასკნელ ათწლეულებში დამკვიდრდა. თუ მკვლევარი ეფთვიმე ათონელის მიერ თარგმნილ რომელიმე თხზულებას ადარებს ბერძნული ორიგინალის არაკრიტიკულ გამოცემას და ვერ ითვალისწინებს ამ თხზულების სხვა ბერძნულ რედაქციებს, მისი დასკვნები ქართული თარგმანის ორიგინალთან მიმართებაზე არასარწმუნო იქნება.

2. პროტოპრესვიტერ გიორგი ზვიადაძის ფილოლოგიური დაკვირვებანი ქართული თარგმანის ბერძნულ დედანთან შედარების გზით გამოკვეთს ამ თხზულების ქართველი მთარგმნელის, დიდი ქართველი წმინდა მამის ეფთვიმე მთაწმინდელის მთარგმნელობითი მეთოდის – თავისუფალი თარგმანის არსს ამ კონკრეტული თხზულების თარგმანის პროცესში; რომელიც უპირველეს ყოვლისა დიდი წმინდა მამის გრიგოლ ნოსელის ტექსტის გავრცობაში მდგომარეობს, მაგრამ იმგვარად, რომ დედნისეულ დებულებებს და სათქმელს არ დასცილდეს. ამ დაკვირვებას მკვლევარი შესასწავლი თხზულების ბერძნულ-ქართული ტექსტების შედარების შედეგად გამოვლენილი მრავალი ძალზე საინტერესო და დამარწმუნებელი მაგალითით ნათელყოფს.

საგანგებო ქვეთავს უძღვნის მკვლევარი ეფთვიმეს თარგმანში დედნისეული ცალკეული პასაჟების თუ შესიტყვებების გამოტოვებას. მრავალი ბერძნულ-ქართული ტექსტუალური პარალელის მოხმობით გამოკვლევის ავტორი დაასკვნის, რომ აბსოლუტურად უმრავლეს შემთხვევებში ტექსტის შემოკლება ეფთვიმეს მიერ გამოწვეულია იმავე

მიზეზით – ქართველი მკითხველისათვის ტექსტის გამარტივების და ასევე სტილური ლაკონურობის მიზეზით. უაღრესად საინტერესოა მკვლევრის შენიშვნა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში თარგმანში დედანთან შედარებით ნაკლები ადგილების არსებობა იმითაც შეიძლება იყოს განპირობებული, რომ წმ. ეფთვიმეს ხელთ ჰქონოდა ბერძნული ტექსტის რედაქცია, განსხვავებული დღეს ჩვენთვის ცნობილი ბერძნული რედაქციებიდან (გვ. 51). ეს დასკვნა სრულ შესატყვისობაშია ჩვენში, ანუ ქართულ-ბიზანტიური ურთიერთობების მკვლევართა შორის, დღეისათვის გავრცელებულ აზრთან, რომ ეფთვიმესეული თარგმანის განსხვავება ბერძნული ორიგინალიდან ზოგ შემთხვევაში იმით უნდა აიხსნას, რომ ქართველ მთარგმნელს ხელთ განსხვავებული ბერძნული რედაქცია უნდა ჰქონოდა. საგანგებოდ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მკვლევარი, გიორგი ზვიადაძე, არა მხოლოდ ვარაუდობს ზოგიერთ შემთხვევაში ეფთვიმეს ხელთ განსხვავებული რედაქციის არსებობას, არამედ ამ თხზულების ხელნაწერთა სიმრავლიდან ზოგჯერ მიუთითებს კიდევ ისეთ ბერძნულ ნუსხაზე, რომელსაც მისდევს წმ. ეფთვიმეს თარგმანი.

განსაკუთრებული სისრულითაა მკვლევრის მიერ შესწავლილი ეფთვიმეს მიერ წმ. გრიგოლ ნოსელის თხზულებებში დამოწმებული წმინდა წერილის ციტატების გადმოღების შემთხვევები. დასკვნაც უაღრესად საინტერესოა: ეფთვიმე არ ღალატობს საკუთარ მთარგმნელობით მეთოდს: ბიბლიური ციტატების თუ დამოწმების შემთხვევაშიც იგი თავისუფლად ეკიდება დედანს. მხოლოდ მისი თავისუფლება ბიბლიური ტექსტის სფეროში რჩება (გვ.87). ასევე მნიშვნელოვანია მკვლევრის დაკვირვებანი იმაზე, თუ წმიდა წერილის რომელ ქართულ რედაქციას იყენებს ქართველი მთარგმნელი, აქაც ეფთვიმეს მიდგომა თავისუფალი და არაერთგვაროვანია: ზოგჯერ მას უცვლელად გადმოაქვს გრიგოლ ნოსელისეული ბიბლიური ციტატა და არ იყენებს უკვე არსებულ ქართულ თარგმანს, ზოგჯერ წმ. გრიგოლ ნოსელის პერიფრაზს ბიბლიურ ტექსტისა იგი ცვლის წმინდა წერილის ქართულ რედაქციებზე დაყრდნობით. ზოგჯერ ქართველი მთარგმნელი ავრცობს კაპადოკიელი წმინდა მამის მიერ პერიფრაზის სახით დამოწმებულ ბიბლიურ ტექსტს,

მაგრამ გავრცობა ყველა შემთხვევაში ეყრდნობა წმინდა წერილს. და რაც განსაკუთრებით საინტერესოა წმ. ეფთვიმე მთაწმინდელი ზოგჯერ, კონტექსტიდან გამომდინარე, გრიგოლ ნოსელის მიერ დამოწმებულ სიტყვებს უნაცვლებს სხვა ციტატას წმინდა წერილიდან.

დარწმუნებით შეიძლება ვთქვათ, რომ წმ. ეფთვიმეს მთარგმნელობითი მეთოდი ასეთი დაწერილებით, როგორც პროტოპრესვიტერ გიორგი ზვიადაძის ამ ნაშრომშია დახასიათებული, სხვა ფილოლოგიურ ნაშრომში არაა წარმოდგენილი. მინდა ავტორის თვალსაზრისი გადმოვცე: ეფთვიმე მიმართავს თავისუფალ თარგმანს, რითაც „აქართულებს“ ბერძნულ ტექსტს და ქართული ენისათვის დამახასიათებელი ბუნებრიობით გადმოგვცემს სათქმელს. ამარტივებს ტექსტს, ცვლის დედანში არსებულ სიტყვათა თანმიმდევრობას, აკონკრეტებს ავტორის მსჯელობას, რაც ორიგინალში მხოლოდ ნაგულისხმევია და მოცემული არ არის. ქართველი მკითხველისათვის ძნელად აღსაქმელ სახისმეტყველებით სინტაგმებს ცვლის უფრო გასაგები ფრაზეოლოგიით, აკეთებს კომენტარებს, აზრის გასამაფრებლად სვამს კითხვას, ცვლის დედნისეულ სტილს, ფორმის მხრივ განსხვავებულად გვაწვდის ავტორის სხვადასხვა სწავლებას, მაგრამ შინაარსობრივად არ ცვლის მას. ნიუანსურად ცვლის ტექსტს, ფართოდ იყენებს მოცემული სიტყვის სინონიმურ მნიშვნელობას.

მკვლევრის ჩატარებული მუშაობა და დასკვნა, ჩემი აზრით, კიდევ ერთხელ ადასტურეს ეფრემ მცირის მიერ XI საუკუნეში განმარტებულ ეფთვიმე ათონელის მთარგმნელობით მეთოდს, წმიდა მამას „მადლითა სულისა წმიდისაჲთა კელ-ეწიფებოდა შემატებაჲცა და კლებაჲცა.“ ამ შემთხვევაში ეფრემ მცირის სიტყვები „ხელ-ეწიფებოდა“ არა მხოლოდ „შეეძლოს“, არამედ „უფლება ჰქონდას“ ნიშნავს. წმ. ეფთვიმე თავისუფლად ერევა დიდი წმინდა მამის გრიგოლ ნოსელის ტექსტში. ეს მრავალმნიშვნელოვანია. როგორც ჩანს, იგი გრძნობდა თავის თავში ღვთაებრივ მოწოდებას ამგვარი ქმედებისათვის.

3. წმ. გრიგოლ ნოსელის თხზულების „ქალწულებისათჳს და საღმრთოჲსა მოქალაქობისა“ ქართული თარგმანის ჩვენამდე მოღწეული ძველი ხელნაწერების (P3-1040 წ; Ath39-

XIIს.; A-108-XIIIს.). ერთმანეთთან შედარებამ პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე ერთ ძალზე საინტერესო დასკვნამდე მიიყვანა: 1040 წლის ხელნაწერში წმ, ეფთვიმეს ხელიდან გამოსული ტექსტი გვაქვს; XI საუკუნის ათონის ხელნაწერში ეს ტექსტი ბერძნულ ორიგინალთან შედარების საფუძველზე ჩასწორებულია სხვის მიერ, შემდეგ ეს ჩასწორებული ვარიანტია გადაწერილი. მკვლევარი ვარაუდობს, რომ რედაქტორ-ჩამსწორებელი შესაძლებელია მხოლოდ წმ. გიორგი ათონელი ყოფილიყო.

4. რამდენიმე სიტყვით ისევ მინდა დავუბრუნდე წმ. გრიგოლ ნოსელის თხზულების საკუთრივ ტექსტის პუბლიკაციის საკითხს. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი ძეგლი ძველი ქართული ლიტერატურისა გამოქვეყნებულია თანამედროვე ტექსტოლოგიის მოთხოვნების უმაღლეს დონეზე: გამოცემა ეყრდნობა უძველეს ხელნაწერს, სქოლიოებში ჩამოტანილია დანარჩენი ორი ხელნაწერის ვარიანტები. ტექსტში შეტანილია მითითებები ბიბლიური წიგნების დამოწმებებზე, როგორც უშუალოდ ციტირების შემთხვევებში, ასევე პერიფრაზული დამოწმების შემთხვევებში. რაც მთავარია და რაც საგანგებოდ მინდა აღვნიშნო: ტექსტის პუბლიკაციას თან ერთვის ამომწურავი კომენტარები, როგორც საღვთისმეტყველო შინაარსის, ასევე ფილოლოგიური ხასიათისა. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ამ თვალსაზრისით ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ძეგლების პუბლიკაციათა შორის ეს გამოცემა უნიკალურია.

დაბოლოს, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ამ გამოცემაზე დართული ლექსიკონი, რომელშიც განმარტებულია ტექსტის მეტ-ნაკლებად ძნელად გასაგები ყველა სიტყვა. მოყვანილია სათანადო კონტექსტი და ამ სიტყვის უშუალო ან მიახლოებითი ბერძნული შესატყვისი ორიგინალიდან. ეს ლექსიკონი ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული და ენობრივი კონტაქტების მკვლევართათვის სამაგიდო სახელმძღვანელოდ შეიძლება იქცეს.

დაგვრჩენია მხოლოდ ის, რომ ქართულ ფილოლოგიურ მეცნიერებას მივულოცოთ ასეთი უნიკალური შენაძენი.